

**პაატა სააკაძის გზარაკად შეწირვის
ეროვნულ-რელიგიური ასპექტები
RELIGIOUS AND NATIONAL ASPECTS
OF THE SACRIFICE
FOR THE HOMELAND OF PAATA SAAKADZE**

ვაჟა ოთარაშვილი
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი
თბილისი, საქართველო

ეკა კვანტალიანი
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი
თბილისი, საქართველო

ლექსო ოთარაშვილი
გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი
თბილისი, საქართველო

Vazha Otarashvili
Giorgi Saakadze Phenomenon Research Center
Tbilisi, Georgia

Eka Kvantaliani
Giorgi Saakadze Phenomenon Research Center
Tbilisi, Georgia

Lekso Otarashvili
Giorgi Saakadze Phenomenon Research Center
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

This article deals with relations between Georgia and Safavid Iran in the first quarter of the 17th century and fierce struggle of the great Georgian Christian commander Giorgi Saakadze against Shah Abbas. It explores national and religious aspects of the sacrifice for the homeland on the part of Paata Saakadze, the beloved son of Grand Mouravi and its importance for Georgia at the time as well as for the country in general.

Based on foreign documents, for the first time, the article depicts the preparations for Giorgi Saakadze's battles against Shah-Abbas I, and the relationship between Giorgi Saakadze and the Georgians imprisoned in Iran - Ketevan the Martyr, Luarsab II the Holy Martyr and others.

Extensive Georgian and foreign historical documents have led to the logical conclusion that Giorgi Saakadze had long been preparing himself for an uprising against Shiite Iran and Shah Abbas I, and that the sacrifice of Paata Saakadze on the part of himself and his father was a deliberate and conscious step towards saving Christian Georgia.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, საქართველო-ირანის ურთიერთობა (XVII საუკუნე), პაატა სააკაძე, გიორგი სააკაძე.

Keywords: History of Georgia, Georgian-Iran relations (XVII century), Paata Saakadze, Giorgi Saakadze.

კაცობრიობის ისტორია უფლისათვის შვილთა შეწირვის რამდენიმე განსაკუთრებულ შემთხვევას იცნობს, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე ზეადმატებული და უპირველესია ის, რომ მამა ღმერთმა ქრისტე – საკუთარი მხოლოდშობილი ძე შესწირა სამყაროს კაცობრიობის გადასარჩენად, კაცთა ცოდვების დასახსნელად, რომელმაც საკუთარი ნებით შეიმოსა ადამიანური ბუნება და ევნო ჯვარზე. ეს მომენტი გახლავთ ადამის მოდგმისადმი უფლის უმაღლესი სიყვარულის გამოვლინება, სიყვარულისა, რომელიც სწვდებოდა და სწვდება ყველა ეპოქას და ყველა დროის ადამიანს. ამაზე დიდ ღვთიურ მისტიკურ ქვეყნიერება არ იცნობს. დღესაც მარადიულ ღაღად ისმის ქრისტიანთათვის მაცხოვრის ბაგიდან ნათქვამი სიტყვები: „...ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ თავთა თქუენთა სტიროდეთ და შვილთა თქუენთა” (ლუკა 1989: 23, 28). „ძველი აღთქმიდან” უფლისადმი შვილის მსხვერპლად შეწირვის საოცარი მაგალითია მამამთავარ აბრაამის მიერ თავისი პირმშოს – ისააკის თავისი ნებით ღმერთის სამსხვერპლოზე მიყვანა. როცა ღმერთმა „გამოსცადა აბრაჰამ” (დაბადება 1989: 22,1) და უთხრა: „მოიყუანე ძე შენი ისააკი... და წარვედ ქუეყანასა მაღალსა და შეწირე იგი...” (იქვე: 22.2). აღსანიშნავია, რომ ძველი აღთქმის პატრიარქს აბრაამს თავისი ნებით „შეშაჲ მსხვერპლისადთ” ზურგზე მოკიდებული მორჩილად მიჰყვება სამსხვერპლოსკენ ძე მისი – ისააკი. უფალმა გამოსცადა აბრაამი და როცა მან „განყო ჯელი თჳსი მოღებად მახჯლისა დაკლვად მისა თჳსისა” (იქვე: 22.10), მაშინ მოესმა ზეციდან ღვთის ანგელოზის ხმა, რომ შეჩერებულიყო: „და ჰრქუა მას. ნუ მიჰყოფ ჯელსა შენსა ყრმისა მაგის ზედა, ნუ-ცა რას უყოფ მას. აწ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისად და არა ჰრიდე ძესა შენსა საყუარელსა ჩემთჳს” (იქვე: 22.12). ამგვარად, „აბრაამი საქმეთაგან გამართლდა”, როგორც წერს პავლე მოციქული თავის ეპისტოლეში რომაელთა მიმართ (თ. 4-2), რამეთუ აღასრულა ნება ღვთისა, „ვინაიდან რას ამბობს წერილი? ერწმუნა აბრაამი ღმერთს და შეერაცხა მას სიმართლედ” (პავლე მოციქულის ეპისტოლე 1993, თ. 4-3).

ქრისტიანობის ისტორია იცნობს მაცხოვრისათვის მშობელთაგან შვილთა შეწირვის ისეთ განსაცვიფრებელ მაგალითებს, როგორიცაა წმინდა

მოწამენი: პისტი (რწმენა), ელპიდი (სასოება) და ალაპი (სიყვარული) და დედა მათი სოფიო (დაახლ. 137 წ.) (წმინდანთა ცხოვრება 2003: 241), ცხრა მძა ხერხეულიძის თავგანწირვა მარაბდის ომში და დედის თვალწინ მათი გმირული აღსასრული 1625 წლის 1 ივლისს... აგრეთვე, ცნობილია თქმულება საქართველოს ისტორიიდან, სურამის ციხის აგებისათვის მის კედელში ჩაყოლებული დედისერთა ვაჟის ზურაბის შეწირვის მომენტის შესახებ (დანიელ ჭონქაძე, "სურამის ციხე") და სხვ. მე-17 საუკუნე უმძიმესი იყო ქართველთათვის. მუსულმანური შემოსევები ეთნო-რელიგიური ომების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, როგორც მეუფე ანანია (ჯაფარიძე) აღნიშნავს: „XVII საუკუნე სწორედ ქრისტეს მოწამეთა სიმრავლითაა გამორჩეული. მრავალრიცხოვან წამებულთაგან ქართულმა ეკლესიამ წმინდანთა რიცხვში მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შეყვანა შეძლო, იმდენად დიდი იყო მათი რიცხვი” (ჯაფარიძე 2009: 929). ხაზგასასმელია, რომ მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში ორმა დიდმა ქართველმა, რომლებიც ქარქაშში ხმაულჩაუგებლად იბრძოდნენ სამშობლოსათვის, მამულისა და ერის გადარჩენისათვის ყველაზე ძვირფასი – შვილები შესწირეს. მათი შვილების სიცოცხლე ვერაგმა შაჰ-აბასმა იმსხვერპლა. ამ ორი ქართველიდან ერთი მეფე თეიმურაზ I იყო, მისი ვაჟები: ლევანი და ალექსანდრე, ხოლო მეორე – დიდი მოურავი გიორგი სააკაძეა და მისი შვილები: პაატა, დავითი და ავთანდილი. ამ უკანასკნელმა (ავთანდილმა), მამასთან ერთად თითქმის ყველა ბრძოლა გამოვლილმა, ისევ მამამისის გვერდით დალია სული, დავითი – ბეროზაში ალაპიტი, ქვათახევის ეკლესიის წინამძღვარი 1623 წლიდან (ქვათახევის მონასტერი 2012: 7), მარაბდის ომში დაიღუპა 1625 წლის 1 ივლისს საეკლესიო ჯარში ბრძოლის დროს (ოთარაშვილი 2018ა: 70). მის შესახებ ძალზე მწირი ცნობებია და თითქმის არაფერი ვიცით დაზუსტებით (ფირცხალაიშვილი 1978: 131). რაც შეეხება გიორგი სააკაძის მეორე ვაჟს, რომელიც შაჰ-აბასმა აწამა და თავი მოჰკვეთა, პაატა სააკაძეა – დიდი მოურავის უსაყვარლესი შვილი და გაუნელებელი ტკივილი. როგორც აბრაამმა თავისი ნებით მიიყვანა უფლის სამსხვერპლოზე თავისივე პირმშო – ისააკი, ასევე დიდმა მოურავმა უფლისა და მამულისათვის შესწირა ზვარაკად უძვირფასესი ვაჟი პაატა. დიახ, რომ არა გიორგი სააკაძის მეთაურობით და უდიდესი თავგანწირვით ყიზილბაშთა საუკეთესო ჯართან მოგებული მარტყოფის ბრძოლა 1625 წლის 7 აპრილს – ხარება დღეს, საქართველო სამუდამოდ აღიგებოდა პირისაგან მიწისა. მარტყოფში „გიორგი სააკაძემ ყიზილბაშთა სიმტკიცე გაბედული დაკვრით ხერხემალში გადასტეხა...” და ირანელთა „ვეება ჯარის მხოლოდ მეთაედმა უშველა თავს გაქცევით” (ჯავახიშვილი... 1943: 303). ერთ-ერთ ისტორიულ საბუთში, რომელიც პაატა სააკაძის დაღუპვამდე, ე.ი. 1625 წლის 7 აპრილის მარტყოფის აჯანყებამდე შედგენილი: „ესე აუარებელი, მტკიცედ შეუცვალელებელი, უცრუო, უმტყუვნო, ყოვლისა თათბირისა, ჩხუბისა და ილათისაგან გამოსრული და განწმენდილი, მიზეზ-შემოულებელი და საბოლოოდ გასათავებელი ფიცი, წიგნი და პირი მოგეცი მე, ციციშვილმან ფარსადან და ჩემმან შვილმან ციცი და ხუციამან

თქვენ, მოურავსა გიორგის და თქვენსა ძმასა ქაიხოსროს და შვილსა შენსა ავთანდილს და პაატას და იორამს” (ხეც Hd-1442). ჩანს, რომ გიორგი სააკაძის მეოთხე ვაჟი – დავითი, უკვე ბერად არის შემდგარი ქვათახევის მონასტერში, ხოლო უფლისთვის და საქართველოსთვის ზვარაკად შეწირული შვილი – პაატა ჯერ ცოცხალია და საქართველოშია. ამიტომ, სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი 1620-1622 წლებშია შედგენილი, როცა დიდი მოურავი თავის პირად მოწინააღმდეგეებთან ურთიერთობას აგვარებს, ურიგდება მათ და ფარულად უკვე მარტყოფის აჯანყებას ამზადებს. ამაზე მეტყველებს აგრეთვე 1620 წლის 15 აპრილით დათარიღებული „სასამართლოს განაჩენი დიდი მოურავისა და ჯავახიშვილის საქმის გამო” (ხეც Hd-6259), რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა თავისი რედაქციით გამოცემულ „საქართველოს სიძველენის” II ტომში შეიტანა 1909 წელს. ანუ, ქართლში დაბრუნებული დიდი მოურავი თავის მოქიშპე თავადებს ურიგდება, რათა გაერთიანებული ძალებით შემდგომ დაამარცხოს შაჰ-აბასის არმია. 1620 წლის 20 სექტემბერს გიორგი სააკაძე ისევ ირანშია. კერძოდ, მარი ბროსე თავის წიგნში „ქართლის ცხოვრება დასაბამიდან XIX საუკუნემდე”, რომელსაც მეორენაირად „საქართველოს ისტორიასაც” უწოდებს, გამოცემულია 1856 წელს (ფრანგულ ენაზე), სანკტ-პეტერბურგის სამეფო-სამეცნიერო აკადემიის მიერ და ინახება დღესდღეობით ბავარიის წიგნსაცავში, წერს: რომ თვითონ (მარი ბროსეს) უშუალოდ აქვს ნანახი პიეტრო დელა ვალეს „მოგზაურობანი“-ს ფრანგულ ენაზე გამოცემულ V ტომში, 142-ე გვერდზე დაწერილი ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. კერძოდ, პიეტრო დელა ვალეს 1620 წლის 20 სექტემბერს ფენშიშველა კარმელიტების საკვირაო დილის მესაზე პირადად უნახავს გიორგი სააკაძე, იგივე „ქართველი პრინცი მეჰრუ, რომელსაც არასოდეს არ სურდა ქრისტიანობის დათმობაო. ამის შესახებ შაჰ-აბასმაც იცოდა, რადგან გორიდან და თბილისიდან (ანუ სააკაძის სამოურავოდან) ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა იქ და აბასი არ ეწინააღმდეგებოდაო მათ”. როგორც ამბობს მარი ბროსე, ამ მასალების „ნაწილი ფრანგულად და ნაწილი გერმანულად არის დაცულიო”. შემდეგ აჯამებს იგი ზემოთქმულს და წერს: „ყოველივე ამის შემდეგ ვასკვნი, რომ სააკაძეს მოშურნეებმა დააბრალეს ვითომ გამაჰმადიანდა, სინამდვილეში დიდი მოურავი სულ ქრისტიანად რჩებოდაო” (Brosset 1858: 444-445). ამ ცნობებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი სააკაძე 1620-1625 წლებში უკვე აქტიურად ამზადებს აჯანყებას ყიზილბაშთა წინააღმდეგ. მიდი-მოდის ირან-საქართველოს შორის, ვერაგი შაჰის მალულად იჩენს მომხრეებს, ურიგდება მოწინააღმდეგე ქართველ დიდგვაროვნებს და მთავარი: ამ მიმოსვლას საქართველო-ირანს შორის ოჯახით ახორციელებს, ხოლო 1625 წლისთვის იგი შეგნებულად ტოვებს მძევლად თავის უსაყვარლეს შვილს – პაატას, რა თქმა უნდა, პათოლოგიურად ეჭვიანი და დაუნდობელი შაჰის თვალის ასახვევად და ნდობის მოსაპოვებლად, რასაც ადასტურებს ირანელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის შემდეგი ცნობაც: რადგან ირანელ ხელისუფალთ ვერც წარმოედგინათ, თუ მოურავი „გადასწყვეტდა ამბოხება მოეხდინა”...

რადგანაც ყარჩილა-ხანს და ამირებს არა ერთხელ უხილავთ ის პატივისცემა და სიახლოვე შაჰთან, რომლითაც ის უბედური (გიორგი სააკაძე – ვ.ო...) სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში, და წყალობა, რომელიც მას დღითი დღე ეფინებოდა მისი უავგუსტოესობისაგან, აგრეთვე რაკი მათ იცოდნენ, რომ ერთი მისი ვაჟი (გიორგი სააკაძის ვაჟი - პაატა, რომელიც შაჰ-აბასმა მძევლად დაიტოვა ირანში) სახლობით და ნათესავეებით იმ ველაიეთში (ე.ი. ირანში) იყო და ყველას მათ დიდი წყალობით და პატივით ეპყრობოდნენ, – ამიტომ ვერ წარმოედგინათ სრულებით, რომ მას (დიდ მოურავს) შეეძლო ისეთი საქმის ჩადენა, რომელსაც „ღალატის სუნი“ ექნებოდა” (მუნში 1969: 124). ეს არის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ირანის ხელმწიფის კარის ცნობილი ისტორიკოსისაგან და აბასის ცხოვრების ჟამთააღმწერლისაგან. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ, მიუხედავად თავისი მაღალი თანამდებობრივი მდგომარეობისა ირანის სამეფო კარზე, მაინც ამბობება აქვს გადაწყვეტილი, რაც არ გამოეპარებოდა შაჰის აგენტურულ ქსელს. მოურავს უცხო ქვეყანაში პატივი და დიდება კი არ სურს, არამედ საქართველოს ხსნაზე ფიქრობს. ეს კარგად იცის შაჰ-აბასმა, ბოლომდე არ ენდობა დიდ მოურავს და მძევლად თავისთან იტოვებს მის ვაჟს – პაატა სააკაძეს, თუმცა, როგორც ისქანდერ მუნში გვამცნობს, დაუჯერებლადაც ჩანს და ზებუნებრივადაც, რომ გიორგი სააკაძემ გაბედოს აჯანყება აღზევებული ირანის სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პატივი და დიდება არ აკლია შაჰ-აბასთან დაახლოებულ ქართველ მხედართმთავარს, რომელსაც საკმაოდ მაღალი თანამდებობა უკავია ირანის სამეფო კარზე და მეორე, მისი ვაჟი პაატა მძევლად ჰყავს შაჰ-აბასს. მაგრამ აქ თამაშობს უდიდეს როლს დიდი მოურავის გულში აგიზგიზებული მაცხოვრისა და სამშობლოს სიყვარული. იგი მხოლოდ გარეგნულად არის შაჰის და ირანის სახელმწიფოს ერთგული, თორემ გულში უცემს მამა-პაპათა სისხლით მორწყული საქართველოს მიწა. დიახ, მართალია ისქანდერ მუნში, როცა წერს, რომ ბედუკუდმართ მოურავს „ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე“ (მუნში 1969: 123). ანუ, გიორგი სააკაძე ირანში, შაჰ-აბასის სამსახურში მყოფიც სულის გადარჩენაზე ფიქრობს. ამასვე მოუწოდებს თავის ცოლის ძმას – ზურაბ არაგვის ერისთავს. არჩილ მეფეს შესანიშნავი პოეტური ხატსახეებით აქვს ეს უმნიშვნელოვანესი მომენტი გადმოცემული (არჩილიანი 1936/1937, სტროფი 593):

„იქ მივიყვან, საქართველოს წახდენაზე ცრემლს დავადენ,
მე შვილს დავთმობ ქვეყნისათვის, ამან ეს ყოს, იყოს ასდენ.“

„საქართველოსთვის დაცასთმეო“, - ეხვეწება სააკაძე არაგვის ერისთავს, რომელიც პასუხობს (იქვე: სტროფი 595): „შენ შვილს დასთმობ, მეც მოვითმენ ქართლისთვისო“, ანუ, არჩილ ბაგრატიონის ამ სტრიქონებიდან ჩანს, რომ პაატა სააკაძის შეწირვას სამშობლოსათვის უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა და გამოძახილი არა მარტო სააკაძის ეპოქაში, არამედ თვითონ არჩილ მეფის მოღვაწეობის დროსაც. ე.ი. პაატას მსხვერპლად შეწირვის მისტერია მე-18 საუკუნის ათიან წლებშიც აქტუალური და სამაგალითო ნაციონალური მუხტის მატარებელი იყო

იმდროინდელ ქართულ საზოგადოებაში. და მაინც, პირველი ქართული ისტორიული წყარო, რომელიც გიორგი სააკაძის მიერ პაატას უფლისა და მამულისათვის ზვარაკად შეწირვას გადმოგვცემს, იოსებ ტფილელი მიტროპოლიტის პოემა „დიდმოურავიანია“, სადაც შვილმკვდარი გმირი მოსთქვამს (181-ე სტროფი):

„ქართლისათვის რა ძე დავსთმე, როგორ ტურფა სასურველი,
ჩემთვის ვარდი მაისისა, აღარვინ ჰყავს მას იქ მშველი,
წასვლის ღონე არსით ჰქონდა, ბევრი ჰყვანდა ჯაშუშ-მცველი,
იქ პაატა დამიკარგავს, აქ არა მყავს გამკითხველი!“

სულისშემძვრელია „დიდმოურავიანის“ ეს სტროფი – დიდი მხედართმთავრის ცრემლიანი ამოგმინვა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ გიორგი სააკაძის შვილის შეწირვის ტრაგედიის უდიდესი ეროვნულ-რელიგიური რეზონანსის მიუხედავად, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში მწირი ცნობები მოგვეპოვება ამ შემადრწუნებელი და ამაღლებული ფაქტის გარშემო. პაატა სააკაძე (1604-1625), მეორე ვაჟი დიდი მოურავისა, კათოლიკე მისიონერთა ცნობებზე დაყრდნობით, შაჰ-აბასის ბრძანებით ჯერ აწამეს, შემდეგ თავი მოჰკვეთეს 1625 წლის აპრილის ბოლოს და 6 მაისს, გიორგობის დღეს, მამას მიართვეს. ამ შემადრწუნებელ ფაქტს ადასტურებს ანტ. ფურცელაძეც, რომელიც წერს: „...გაუგზავნა შაჰმა სააკაძეს თავისი სანატრელი და სიკვდილამდის დაუვიწყარი შვილის პაატას თავი, გახვეული უბრალო ტომარაში. სააკაძისათვის არა იყო რა მოულოდნელი. იმან კარგათ იცოდა, რომ აბაზი არ იყო ისრეთი კაცი, რომელსაც რისამე წინდაეხვებინა... შვილის უბედურებასაც... ის წინადვე ელოდა. გახსნა იმან ტომარა და დაინახა უცებ დასახიჩრებული თავი თავისი პირმშო და უსაყვარლესი შვილისა“ (ფურცელაძე 1911: 278). სხვათა შორის, ანტ. ფურცელაძე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მარტყოფის ბრძოლის წინ გიორგი სააკაძის მიერ ლოჭინის ხევში შათირის – ირანელი შიკრიკის დაჭერის და აბასის წერილის ხელში ჩაგდების ამბავს დიდი მოურავის მოგონილად მიიჩნევს ისქანდერ მუნში (იქვე: 252). პლატონ იოსელიანის ინფორმაციით: „მოურავის ვაჟს პაატას მამამისის ღალატის გამო, შაჰის ბრძანებით 21 წლისას ისპაჰანში თავი მოკვეთეს. მან კი, როგორც გულითა და სულით მართლმადიდებელმა ქრისტიანმა უარყო მაჰმადიანობა. ქალაქის დაშორებით ხევში გადაგდებული მისი გვამი ისპაჰანში იმ დროს მყოფმა კათოლიკე-მისიონერებმა დაკრძალეს. მისმა მამამ გიორგი სააკაძემ დიდი ხარჯი გასწია, თბილისელ ვაჭრებს მოანახვინა შვილის გვამი და საქართველოში ჩამოატანინა. კათოლიკოსის ნებართვით, პაატას ცხედარი დაკრძალულია ერთაწმინდის ტაძრის დასავლეთ მხარეზე, სადაც მალე მოურავმა დღემდე არსებული საგანგებო ეკვდერი ააშენა“ (იოსელიანი 1973: 63-64). თუ განვიხილავთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს პაატა სააკაძის შესახებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ირანში, კერძოდ ისპაჰანში, პაატა „სახლობით და ნათესავებით“ არის მძევლად დატოვებული, ანუ, მასთან არიან მისი ახლობელი ქართველები. უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით (მაგ., მარი ბროსე), გიორგი სააკაძეს სპარსეთში თან ახლდნენ მისი მიწა-

წყლის კაცები გორიდან, თბილისიდან ... ანუ, პაატა სააკაძის გარშემო ქართული ქრისტიანული (თუნდაც ფარული) წრის ადამიანები იყვნენ, რომლებიც, კარმელიტების ქრონიკის თანახმად, კათოლიკურ ეკლესიაში დაიარებოდნენ, რადგან სხვა ეკლესია არ იყო ისპაჰანში. ამიტომ პლატონ იოსელიანის ზემოთ მოყვანილი ცნობა პაატა სააკაძეზე, „როგორც გულითა და სულით მართლმადიდებელ ქრისტიანზე“, სიმართლეს შეესაბამება. პაატა რომ ქრისტიანი გარდაიცვალა, ამას ისიც მოწმობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსის ზაქარიას (ჯორჯაძე) ნებართვით მას წესი ქრისტიანულად აუგეს და ერთაწმინდის ტაძარში შიგნით კედელთან დაკრძალეს – საკურთხეველის მარცხნივ. შაჰ-აბასის სიმხევესა და განრისხებაზე უადრესად ლაკონურ დასკვნას აკეთებს ქართველ ისტორიკოსთა ბრწყინვალე სამეული - ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია: „რაკი შაჰ-აბასი გულის წადილს ვერც ეხლა ეწია - თეიმურაზი და სააკაძე ხელთ ვერ იგდო, გაბოროტებულმა შური იძია უდანაშაულო მძევლების სისხლით: საშინელი ტანჯვით აწამეს თეიმურაზის დედა ქეთევანი და თავი მოსჭრეს აგრეთვე გიორგი სააკაძის ვაჟს პაატას“ (ჯავახიშვილი... 1943: 306). იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანში“ ნატანჯ და ნაომარ გიორგი სააკაძეს პოეტი-მღვდელმთავარი ტკივილით ათქმევინებს (294-ე სტროფი):

„თაო ჩემო ვით გასრულო, სევდიანო, როგორც წყლულო,
საქართველოს რჯულისათვის ათას ფერად წამებულო“...

აქ ფრაზა „საქართველოს რჯულისათვის“ – ქრისტიანული, მართლმადიდებლური ივერიის სიმბოლო სახეა. ამიტომ მომავალში შემთხვევით არ იტყვის წმინდა ილია მართალი: „ქართველობა და ქრისტიანობა“ სინონიმური ცნებებიაო. მამასადაძე, გიორგი სააკაძე ქრისტიანული საქართველოს გადასარჩენად იბრძოდა, რასაც თავისი უსაყვარლესი შვილი პაატაც შესწირა. ტფილელი მიტროპოლიტის პოემას მწუხარე ზრინით მიჰყვება უფლისა და სამშობლოსათვის მამის მიერ ისაკივით ზვარაკად შეწირული პაატას სახე (310-ე სტროფი):

„მათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავსდევ თავი სულა,
შვილი პირმშო სიყვარული, სიცოცხლე და ჩემი სულა.“

გიორგი სააკაძემ რომ ქრისტეს რჯულის და საქართველოს გადასარჩენად შესწირა შვილი, ამას ადასტურებს შეუდარებელი პოეტური სტრიქონები ტფილელი მღვდელმთავრისა (315-ე სტროფი):

„თავს ვეტყოდი: ქართველისათვის მოკვდი, წინ გიც ა, წამება,

ვინ სჯულს რყვნიდნენ, გვისუსტებდნენ, მათთვის მშვილდი ა,
წამება“...

ანუ დიდი მოურავი რჯულისა და საქართველოსათვის წამებით სიკვდილისათვისაც კი მზად იყო და ვინც ქრისტეს რჯულს უსუსტებდა და რყვნიდა ხალხს, მათ თავგანწირვით ებრძოდა. გიორგი სააკაძემ სწორედ სჯულისა და სამშობლოსათვის დათმო შვილიც და ძმაც (იგულისხმება ქაიხოსრო), რაც ჟღერს პოემის სტრიქონებში (384-ე სტროფი): „ძმას და შვილსა თვით ხედვიდეს, მისთვის სთმობდეს ორთავ თვალსა...“

სააკადისათვის მართლაც ორთავ თვალის სინათლეა საქართველო, რომელსაც არაერთხელ გაეშორა დიდი მოურავი „სისხლის ცრემლებით“. იგი პაატას წამებით თავის მოკვეთას „ვერ ივიწყებდა სიკვდილის დღემდის“ (ფურცელაძე 1911: 278). პაატა სააკადის სამშობლოსათვის შეწირვის ამბავმა უდიდესი რეზონანსი გამოიწვია როგორც მაშინდელ საქართველოში, ასევე მომავალ თაობებში. სიმონ ქვარიანი წერს, რომ „ჯარის წამოსვლამდი (იგულისხმება მარაბდის ომამდე - ვ.ო...) გაცოფებულმა შაჰ-აბასმა მოაკვლევინა წამებით მძევლათ მყოფი სააკადის ვაჟი პაატა, ჩასდო მისი მოჭრილი თავი ტომარაში და გაუგზავნა საჩქაროთ დიდ მოურავს. ეს საშინელი საჩუქარი მიიღო სააკადემ... იგი მოკვდა გმირულად და მოწამეობრივი სიკვდილით იხსნა დაღუპვისაგან ტანჯული სამშობლო, გამორდა ამ მქენჯნავ წუთისოფელს და ახლა ნეტარებს ზეცაში“ (ქვარიანი 1911: 94). გიორგი სააკადის უსაზღვრო მამობრივი სიყვარული ჩანს იმაშიც, რომ ბოროტი შაჰის ქვეყნიდან კათოლიკე მისიონერების დახმარებით დიდმა მოურავმა პაატას ნაგვემი სხეული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამშობლოში ჩამოასვენა, წესი აუგო და დიდი მწუხარებით ერთაწმინდის ევსტატი პლაკიდას სახელობის ტაძარში დაკრძალა კათალიკოს ზაქარია ჯორჯაძის კურთხევით. ეს ის კათალიკოსია, რომლის შესახებაც პლატონ იოსელიანი გვაწვდის ძალზე საგულისხმო ცნობას მარტყოფის აჯანყების წინა პერიპეტიებზე და დიდი მოურავის ფარულ და ფრთხილ სამზადისზე: „სპარსელებს არავითარი ეჭვი არ ეპარებოდათ და სრულიად დაენდვნენ მოურავს, რომელმაც სამშობლოს გათავისუფლების განზრახვა ქართლზე სპარსელების ლაშქრობის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კათალიკოსსა და წილკნის ეპისკოპოს პართენს გაანდო“ (იოსელიანი 1973: 38). ამ ცნობას პლატონ იოსელიანი მონაზონ მარიამ-მაკრინეს საქართველოს ისტორიის შესახებ დაკარგული თხზულებიდან იმოწმებს, რომელიც მისთვის გადაუცია გორის უწმინდეს ეპისკოპოს ნიკიფორეს (იქვე: 63). მაკრინე მონაზონი, დაბადებული დაახლოებით 1696–1698 წლებში, იყო მეფე ერეკლე I-ის და მისი მეუღლის ანა ჩოლოყაშვილის ასული, და – მეფე თეიმურაზ II-ისა. ერობაში მას მარიამი ეწოდებოდა და მას თავისი სამწერლო მოღვაწეობით, როგორც უაღრესად განათლებულსა, ღვთის მოსავს და პატრიოტს თავისი გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ქართულ მწერლობასა და ჰიმნოგრაფიაში (კეკელიძე 1980: 343–345). ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანი და მრავალისმეტყველია მისი ცნობები, რომელიც პლატონ იოსელიანს მარიამ-მაკრინეს გიორგი სააკადეზე დაწერილი აწ დაკარგული ისტორიული თხზულებიდან აქვს აღებული (ჯამბურია 1964: 55). როგორც მარიამ-მაკრინეს დაკარგული თხზულების ამონარიდებიდან ჩანს, გიორგი სააკადე ჯერ კიდევ მეფე ლუარსაბის შაჰის მიერ დატყვევების დღიდან ფიქრობდა ივერიის ხსნაზე (ოთარაშვილი 2018b: 56–71), რადგანაც მტარვალთა ბუნაგში მყოფმა კარგად დაინახა ირანელი ხელისუფალის ვერაგული პოლიტიკა, რაზეც სწორად შენიშნავს პ. იოსელიანი: „მოურავის გულში შაჰისადმი ღალატი იმალებოდა“. ანუ, გიორგი სააკადეს შეგნებულად, თავისი ნებით (რა თქმა უნდა, არა სიხარულით!) მიჰყავს

სამსხვერპლოზე თავისი შვილი პაატა. პაატაც, რომელიც 21 წლის ჭაბუკი იყო, აბსოლუტურად აცნობიერებდა, რომ შაჰ-აბასი, რომელიც „მცირე რამის გამოც ისეთ თავშეუკავებელ მრისხანებას იჩენდა ხოლმე, „და იცოდა ხშირად სრულიად უაზრო სისხლისღვრა“, შემადრწუნებელი ვერაგობა და შემზარავი შურისძიება ... თავის მახლობელ წრეშიაც” (ჯავახიშვილი 1967: 341-342), არც მას დაინდობდა და თავზე ხელს არ გადაუსვამდა მამის მიერ ირანელთა წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხებისათვის. მაგრამ პაატასაც დიდი მოურავივით უფალი და სამშობლო უყვარდა უპირველესად და არა პატივი და განცხრომა, რაზეც განცვიფრებული ისქანდერ მუნში წერს. პაატა სააკაძის მამის მიერ „საქართველოს რჯულისთვის”, „შვილი პირმშო სიყვარული“-ს „ქართლისათვის ძის დათმობა”, ცხადია, აუგად არ უნდა მოიხსენიებოდეს, სამწუხაროდ, და არ უნდა განიკითხებოდეს, რადგანაც ეს არის უფალსა და სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული მამა-შვილის ამაღლებული ტრაგედია და მწუხარე ბედნიერება საქართველოსთვის თავშეწირვისა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია როგორც მაშინვე, ასევე მომავალშიც. კერძოდ, როგორც ძველი, ისე ახალი უცხოელი ისტორიკოსები და მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ ჩვენთვის აქამდე უცნობ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, გიორგი სააკაძეს სამშობლოსათვის არასდროს უღალატია და პაატა სააკაძე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, აღესრულა მამულისათვის.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანის ამონარიდები, რომლებშიც ხაზგასმულია და მინიშნებულია მამა-შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეროვნულ-რელიგიური ასპექტები. დავიწყოთ წმ. ავგუსტინეს ორდენის მონასტრის პორტუგალიელი ბერის, მამა ამბროზიო დუშ ანჟუმის წერილებიდან, რომელიც სპარსეთში მოღვაწეობდა მე-17 საუკუნის პირველ მესამედში და უშუალოდ იცნობდა შაჰის სამეფო კარს და იქ მიმდინარე მოვლენებს. მამა ამბროზიოს საკმაოდ ზუსტად და დიდი განცდებით აქვს აღწერილი ქეთევან დედოფლის წამება სპარსეთში, შირაზში 1624 წელს, ასევე მისი მოწამეობრივი გარდაცვალება და წამებულის ნეშტის საფლავის ამბავი (დუშ ანჟუმი 1987: 26-44). მამა ამბროზიო დუშ ანჟუმი გიორგი სააკაძის მიერ მოწყობილ მარტყოფის აჯანყებას შაჰ-აბასის ყიზილბაშური სახელმწიფოს წინააღმდეგ „გათავხედებული შაჰის” მიმართ ღვთის რისხვად და სასჯელად თვლის და თავის ჩანაწერს, რომელშიც მარტყოფის ველზე დიდი მოურავის („მოურავ-ბეგი”) ხელმძღვანელობით და თავგანწირვით ქართველთა ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებაზეა საუბარი ირანელ ურჯულოებთან, ასე ახასიათებს: „სასჯელი, რომელიც ჩვენმა უფალმა დაადო შაჰ-აბასს დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილისთვის”. ცხადია, ამ სათაურშივე უმნიშვნელოვანესია ნათქვამი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ გიორგი სააკაძე თავისი ქმედებით, შვილის - პაატას ზვარაკად შეწირვით, ღვთის ნების უმაღლეს მისიას ასრულებდა უფლისა და მამულის წინაშე. ამ თავში მამა ამბროზიო დუშ ანჟუმი გადმოგვცემს: „ქეთევან დედოფლის სიკვდილის შემდეგ (რაც შაჰის სურვილისამებრ აღასრულეს), შაჰი მთლად გათავხედდა, მაგრამ სულ მალე ღმერთმა

შელახა მისი თავმოყვარეობა და ბოროტი საქმეებისათვის დასაჯა... უღმერთო შაჰს მისი სისასტიკისათვის დიდი სასჯელი გამოუგზავნა“. შემდეგ მამა ამბროზიო აგრძელებს, რომ დიდმა მოურავმა „გადაწყვიტა შური ეძია შაჰზე, შურისგება ისე მოაწყო, რომ შაჰს მთელი თავისი მეფობის განმავლობაში ასეთი საშიშროება არ ენახა... საქართველოში გაგზავნილმა მოურავ-ბეგმა... შაჰის ბანაკს დიდი ჟლეტა და რბევა დაატეხა“. შემდეგ ყვება მარტყოფის აჯანყების პერიპეტიებს, რომელსაც სააკაძე ხელმძღვანელობს. ავტორი აქ რამდენიმე უზუსტობას უშვებს: ერთმანეთში ერევა ზურაბ არაგვის ერისთავი და თეიმურაზ მეფე და სხვ. თუმცა მამა ამბროზიოს ცნობა ფრიად საყურადღებო სიტყვებით მთავრდება: ამ მარცხის ამბავი „შაჰმა ფარაჰბადში გაიგო. ისე განიცადა, რომ რვა დღე ჩაიკეტა და არავის ჩვენებია. ძალიან წუხდა... ალბათ უფალმა ინება ქართველების სამუალებით ეხსნა ქრისტიანები ესოდენ ტირანი და ურჯულო შაჰისაგან...“ (იქვე: 45-47). ამბროზიო დუშ ანჟუმის ცნობებში დაშვებული უზუსტობებიდან აღსანიშნავია ორი მთავარი: 1. სააკაძე რჯულიდან გადამდგარი არ იყო 1625 წელს და 2. შაჰზე შურისძიება და სამშობლოს ხსნა, როგორც ისტორიული დოკუმენტები (ქართული და უცხოური) მეტყველებენ, დიდ მოურავს ფაქტიურად 1614 წლიდან აქვს გადაწყვეტილი. მიუხედავად აღნიშნულისა, ზემოთ მოყვანილი მამა ამბროზიოს „ცნობები“ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის შემცველია. ძალზედ საინტერესოა მარი ბროსეს წიგნიდან ერთ-ერთი ამონარიდი, რომელშიც შესანიშნავი ფრანგი ისტორიკოსი და ქართველოლოგი უცხოურ საარქივო წყაროებზე დაყრდნობით წერს: „გიორგი სააკაძემ იცოდა ირანის შაჰის ბოროტი გადაწყვეტილება, რომ ყიზილბაშთა დახმარებით სურდა საქართველოში ქართული მოსახლეობის სრულიად ამოწყვეტა. გიორგი სააკაძე ესაუბრება ზურაბ არაგვის ერისთავს მაჰმადიანი მტრის წინააღმდეგ ამბოხების შესახებ. თუმცა ზურაბი წინააღმდეგია და ამბობს: როგორ შევძლოთ თავდასხმა ირანელებზე, როცა ჩემი მეუღლე და შენი ძე პაატა ისპაჰანში შაჰის კარზეა და აბასი შურს იძიებსო. მაშინ გულდათუთქული დიდი მოურავი მწარედ ამოიგმინებს და იტყვის: ორივე საქართველოს უნდა შეეწიროს! ირანელებს და ყიზილბაშებს ვერ ვუერთგულებთო და მტრის განადგურებისათვის მზადებას დაიწყებს“ (Brosset 1856 (I): 53). მარი ბროსეს ამ ამონარიდიდან ჩანს დიდი მოურავის განზრახვა: რომ გადაწყვეტილი აქვს შაჰ-აბასის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება სამშობლოსა და ხალხის გადასარჩენად და მთავარი: შვილის შეწირვა საქართველოსთვის! ამ ცნობას კიდევ უფრო ამყარებს ბროსეს შემდგომი პერიოდის ე.წ. „რაპორტებში“ დაცული ინფორმაცია, კერძოდ, 1887 წელს გამოცემულ „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“-ში (ფრანგ. ენაზე) გამოყენებული „მასალები საქართველოს ისტორიისათვის 1624 წლიდან“ (აღსანიშნავია, რომ მარი ბროსეს ხელი მიუწვდებოდა უნიკალურ საარქივო საბუთებზე და იმდროინდელ ისტორიკოსთა და მოგზაურთა წიგნებზე, სპარსულ თუ სხვა ისტორიულ დოკუმენტებზე, მან კარგად იცოდა ქართული, სპარსული, არაბული და სხვ. აღმოსავლური ენები), სადაც ავტორი განიხილავს ამ ისტორიულ მოვლენებს და წერს: „მარტყოფის ომში

დამარცხების შემდეგ შაჰ-აბასმა საშინელი რეპრესიები დაიწყო გიორგი სააკაძის ახალგაზრდა ვაჟის – პაატას მოკვლით, რომელიც დატოვებული იყო მძევლად ისპაჰანის სამეფო კარზე. ის შთამბეჭდავი გამარჯვება, რომელიც მოიპოვა გიორგი სააკაძემ მარტყოფის ომის დროს, იყო უდიდესი მოვლენა, რომელმაც წერტილი დაუსვა შაჰ-აბასის მცდელობას აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოესახლებინა მაჰმადიანური თურქმანულ-ციზილბაშური ტომები და გაეწყვიტა ძირძველი ქართული მოსახლეობა, რომლის ნაწილიც უკვე დეპორტირებული ჰყავდა ირანში” (Brosset 1856 (II): 53-59, 489-497; Brosset 1887: XXI, 35).

ამ უცხოურ წყაროთა შესახებ ბრძანებდა დიდი ივ. ჯავახიშვილი, რომ მათ („ქართლის ცხოვრების გაგრძელებები”, „პარიზული ქრონიკები” და სხვ.) იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც მათში „ვრცელი ამონაწერებია შენახული სხვადასხვა ძველი მატანეებიდან, რომელნიც ან დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არიან”, ამიტომ აღნიშნულ წყაროებს „ქართული საისტორიო მეცნიერებისათვის... საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება” (ჯავახიშვილი 1945: 361).

საყურადღებოა კირილ თუმანოვის იტალიაში, ქალაქ რომში, დიდძალ საარქივო წყაროებზე დაყრდნობით ფრანგულ ენაზე გამოცემულ წიგნში - „კავკასიელ ქრისტიანთა დინასტიები ანტიკური ხანიდან XIX საუკუნემდე, გენეალოგიური და ქრონოლოგიური ცხრილებით” - მოცემული ცნობა, რომ „პაატა სააკაძე 1623 წლიდან იყო მძევლად ირანში და წამებით სიკვდილით იქნა დასჯილი” (Toumanoff 1990: 443-444). ამ უკანასკნელიდან ჩანს, რომ პაატა სააკაძე 1623 წლიდან უკვე ირანშია, შაჰის სამეფო კარზე და ამყარებს ისქანდერ მუნშის ზემოთ მოყვანილ ცნობას და ჩვენ მიერ მოდიებულ ისტორიულ საბუთს (ხეც Hd-14442), რომელიც სწორედ 1623 წლამდეა შედგენილი პაატა სააკაძის სამშობლოში, მამის სამოურავოში ყოფნის დროს. ამ საბუთის თანახმად, სააკაძე იმ ფარსადან ციციშვილს ურიგდება, რომელმაც შადიმან ბარათაშვილთან და ქაიხოსრო და ბერუკა ჯავახიშვილებთან ერთად 1612 წლის 20 მაისს შეთქმულება მოუწყო, მოსაკლავად გაიმეტა, ნოსტეში სახლ-კარი გადაუწვა, მამული დაურბია, საქონელი დაიტაცა (ოთარაშვილი 2018ბ: 324-362), რომელიც შაჰ-აბასმა ქართლის გამგებლად დასვა და რომელსაც 1616 წელს ქაიხოსრო ჯავახიშვილმა სამასი კაცი სთხოვა: „საკაძე ნოსტეს ამოსულა, თავს დავესხმი და მოვკლავო”. დიდი მოურავი ორივე თავის შინაურ მტერს ურიგდება, მისთვის სახარებისეული შეგონება – კაცთა მოდგმისათვის უძნელესად შესასრულებელი: „გიყვარდეს მოყვასი შენი” და უფრო მეტი - „გიყვარდეს მტერი შენი და ილოცვიდე მათთვის”, მისაღებია, რათა მამული იხსნას, რათა ქართველობა გადაარჩინოს სისხლისმსმელი „ირანის ლომის” კლანჭებს. ეს არის სააკაძის ქრისტიანული სულგრძელობის საოცარი მაგალითი, რომელშიც ჩანს მისი სწრაფვა ქართული ძალების გაერთიანებისა მომავალი აჯანყებისათვის, რადგან, როგორც იოსებ ტვილელი ათქმევინებს „დიდმოურავიანში” (267-ე სტროფი): „მაგრა ქართლისა მინდოდა რგება და მწვე სიხარული!” ანდა: „ქართლ მოვაველე

გალავანი...” იგი ერთიან საქართველოზე ფიქრობდა, ოცნებობდა ერთიანი ქრისტიანული საქართველოსთვის გალავნის შემოვლებას მტერთაგან დასაცავად. ე.ი. პაატა სააკაძე იმიტომ მიჰყავს გიორგი სააკაძეს ირანში, რათა თვალი აუხვიოს ვერაგ და ავადმყოფურად ეჭვიან შაჰს, რომელიც თავისი აგენტურული ქსელით გამუდმებით ადევნებდა თვალყურს დიდ მოურავს და, ბუნებრივია, არ გამოეპარებოდა მისი შეხვედრები დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოში საერო თუ სასულიერო პირებთან. ანუ, გიორგი სააკაძეს შეგნებულად მიჰყავს სამსხვერპლოზე თავისი საყვარელი ვაჟი. არც პაატა სააკაძეა მცირეწლოვანი, რომ არაფერი გაეგებოდეს, რას ამზადებს მამამისი: დიდი მოურავი ოჯახის მოსიყვარულე და თავგადაკლული მამაა. გავიხსენოთ, წავკისის შეთქმულებიდან როგორ გავარდა ჭენებით ნოსტეში პირველ რიგში თავისი ცოლ-შვილის გადასარჩენად! ამიტომ ვარაუდიც კი, თითქოს პაატამ არაფერი იცოდა და შემთხვევითობის მსხვერპლია, შეურაცხმყოფელია წმინდა ზვარაკისა. პაატა სააკაძისთვის ცნობილი იყო მამის განზრახვა, ისევე, როგორც მისი დანარჩენი ვაჟებისთვის - ავთანდილისთვის, იორამისთვისა და დავითისთვის. მარტყოფის ველზე ისინი ქართველთა ჯარის რიგებში იბრძვიან. ის, რომ მარტო პაატა სააკაძე არ მიიყვანა წმინდა სამსხვერპლოზე დიდმა მოურავმა, ისიც ამტკიცებს, რომ იმ ხუთ კაცში, რომლებიც მარტყოფის აჯანყებას იწყებენ, ორი სააკაძეა: მამა-შვილი - გიორგი და ავთანდილი. რა გარანტია ჰქონდა დიდ მოურავს, რომ ირანელთა 35 000-იანი ჯარის შუაგულში ხმლით და შუბით მობობოქრე მამა-შვილი ცოცხალი გადარჩებოდა. რა დონეზე უნდა იყო ამადლებული, როგორ უნდა გიყვარდეს უფალი და სამშობლო, რომ ჯერ ამხელა აჯანყება მოამზადო მრისხანე ტირანის წინააღმდეგ და შემდეგ შვილთან და სამიოდ ერთგულ ვაჟკაცთან ერთად „ღმერთო მოგვხედეს!” ძახილით ამოდენა ურჯულოს შეება!

სამწუხაროდ, ქართველი მემკვიდრეები - ბერი ეგნატაშვილიც და ვახუშტი ბატონიშვილიც სცოდავენ, როცა პაატა სააკაძის საქართველოსთვის ზვარაკად შეწირვის ამბავს გადმოგვცემენ. მოვუსმინოთ, რას ამბობს „ახალი ქართლის ცხოვრება”: „ირანელები”... იყვნენ... მზადებაშია, რამეთუ სწადდათ აყრა ქართლისა...” მოურავი „ეძიებდა ღონესა რასმე... შვილი პაატა მოურავსა მუნ ისპანს დარჩომოდა. მაშინ მოურავმა უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდო ქართლს ნუ ამოვსწყვეტოთ, თორემ სულიც დაგვეკარგოსო” (ეგნატაშვილი 1959: 405-406). ე.ი. როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი - გიორგი სააკაძე სულის გადარჩენაზე რომ ფიქრობს, ანუ, „სულიც არ დაგვეკარგოსო”, ვერც „ახალი ქართლის ცხოვრების” „სწავლულ კაცთა კომისია“ მალავს. როგორ ჰგავს ამ მატეიანის პათოსი იოსებ ტფილელის სტრიქონებს: „თუ სულსა რამე უღვაწოთ, ყველა ეს უკეთესია”. მაშასადამე, უდიდესი ქართველი მხედართმთავრის აზროვნება მარტყოფის ბრძოლის წინ, მისი სულიერი მდგომარეობა და ცნობიერება ქრისტიანულია, სულის ცხოვნებაა მთავარი. ამიტომ შემთხვევითი არ არის გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის იოსებ ტფილელის პოემის სტრიქონები (320-ე სტროფი):

„მათი დავსთმე სიტკბოება, შენთვის დავსდევ თავი სულა,
შვილი პირმშო საყვარელი, სიცოცხლე და ჩემი სულა...“

დიახ, სულისა და მამულის გადარჩენაზე მოფიქრალი გიორგი სააკაძე საყვარელ პირმშოსაც და საკუთარ თავსაც წირავს, რაც, სამწუხაროდ, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე მხოლოდ ორიოდ სიტყვით აისახა: „... მოურავმან შვილი თვისი პაატა დასთმო“ (ეგნატაშვილი 1959: 405-406). ეს არის და ეს. ამის მეტი ერთი სიტყვა აღარ გვხვდება ამ უდიდეს გმირობასა და ღთიურ მისტიკაზე „ახალ ქართლის ცხოვრებაში“. კიდევ უფრო მშრალად და ძუნწად აქვს ეს ამბავი ვახუშტი ბატონიშვილს „ქართლის ცხოვრებაში“ გადმოცემული: „...დასთმო... მოურავმან შვილი...“ (ვახუშტი 1973: 430). აი, ამ სამი სიტყვით არის გადმოცემული უდიდესი ამბავი ღვთისმოსავი მხედრისა, როცა ბიბლიური აბრამივით სამსხვერპლოზე ტოვებს ზვარაკს – „ძე პაატას“. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-მ ღირსეულად შეაფასა გიორგი სააკაძის თავგანწირული ქმედება, როცა ბრძანა 2005 წლის 17 ივნისს წმინდა სიონის ტაძარში: გიორგი სააკაძე „არის თავდადებული პიროვნება საქართველოს ისტორიაში. პიროვნება, რომელმაც შესწირა მთელი სიცოცხლე სამშობლოს...“ (ოთარაშვილი 2018ბ: 3), მათ შორის თავისი შვილების სიცოცხლეც. ასევე, დადებითად ახასიათებენ გიორგი სააკაძის მოღვაწეობას და პაატას ზვარაკად შეწირვას თანამედროვე უცხოელი გამოჩენილი მკვლევრები და მეცნიერები. მაგალითად, თომას გოლცი, ამერიკელი მწერალი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი, ნიუ-იორკის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომელი, თავის წიგნში „ქართული დღიური“, რომელიც ნიუ-იორკსა და ლონდონშია გამოცემული ინგლისურ ენაზე, გიორგი სააკაძეს აღწერს, როგორც ეროვნულ გმირს, ანტიირანული კოალიციის თავკაცს, ანტიირანული ქმედებების ლიდერს, რომელმაც შური იძია შაჰის ჯარზე და შაჰ-აბასმა გამოუგზავნა ნაწამები შვილის მოკვეთილი თავი (Goltz 2015: 23-24). საქებარ შეფასებას არ იშურებს კანზასის უნივერსიტეტის პროფესორი ერიკ სკოტი – ცნობილი ისტორიკოსი, მკვლევარ-მეცნიერი, რომელიც ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში და ევრაზიის აღმ. ევროპის კვლევით ცენტრებში მოღვაწეობს, თავის ნაშრომში: „საკაძე მეთაურობდა შაჰ-აბასის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებებს, რათა სპარსელები განედევნა საქართველოდან, მაშინ როდესაც მისი ვაჟი პაატა მძევლად იყო შაჰ-აბასის კარზე. იგი საბოლოოდ მამის აჯანყების გამო, შაჰის შურისძიებით ნაწამები და დასჯილ იქნა ირანში...“ (Scott 2016: 77-78).

ამრიგად, გიორგი სააკაძის გმირობამ და თავგანწირვამ, პაატა სააკაძის ზვარაკად შეწირვამ მაცხოვრისა და მამულისათვის კიდევ უფრო განამტკიცა ქრისტიანული რწმენა საქართველოში და უფლისა და სამშობლოსათვის თავდადება სააკაძის ოჯახის მაგალითით სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა. იმ დროს კი თითოეული ქრისტიანი ქართველის თავგანწირვა, გმირობისა და მამაცობის პირადი მაგალითი მართლმადიდებლური ეროვნული საეკლესიო პოლიტიკის გამარჯვება და მძლავრი იდეოლოგიური იარაღი იყო ურიცხვ მტერთან ბრძოლაში.

დასკვნის სახით, ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანად შერაცხოს უფლისა და სამშობლოსთვის ზვარაკად შეწირული ჭაბუკი პაატა სააკაძე და ასევე თეიმურაზ I-ის ნაწამები ვაჟები - ლევანი და ალექსანდრე.

გამოყენებული ლიტერატურა

- არჩილიანი 1936/1937:** არჩილიანი, ორ ტომად. აღ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი, ტ. I - 1936, ტ. II - 1937.
- ბროსე 1858:** ბროსე მ., ქართლის ცხოვრება დასაბამიდან XIX საუკუნემდე. სანკტ-პეტერბურგი, 1858.
- დაბადება 1989:** ბიბლია, დაბადება, თბილისი, 1989.
- დუშ ანჟუში 1987:** მამა ამბროზიო დუშ ანჟუში. რ. გულბენკიანი, ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ, თბილისი, 1987.
- ეგნატაშვილი 1959:** ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. ტ. II, თბილისი, 1959.
- ვახუშტი 1973:** ვახუშტი, ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბილისი, 1973.
- იოსელიანი 1973:** იოსელიანი პლ., დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება. თბილისი, 1973.
- კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I, თბილისი, 1980.
- ლუკა 1989:** ბიბლია, ლუკას სახარება. თბილისი, 1989.
- მუნში 1969:** ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვლ. ფუთურიძის რედაქციით. თბილისი, 1969.
- ოთარაშვილი 2018ა:** ოთარაშვილი ვ., გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები, ტ. I, თბილისი, 2018.
- ოთარაშვილი 2018ბ:** ოთარაშვილი ვ., „მე ვარ შენი მტერი?! – გიორგი სააკაძე“. ჟურნ. „ქართველოლოგია“. თბილისი, 2018, №3.
- პავლე მოციქულის ეპისტოლე 1993:** პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ. ახალი აღთქმა, თბილისი, 1993.
- ფირცხალაიშვილი 1978:** რ. ფირცხალაიშვილი, იოსებ თბილელი და მისი „დიდმოურავიანი“, თბილისი, 1978.
- ფურცელაძე 1911:** ფურცელაძე ან., ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო. თბილისი, 1911.
- ქვათახევის მონასტერი 2012:** ქვათახევის მონასტერი. თბილისი, 2012.
- ქვარიანი 1911:** ქვარიანი ს., ქართველი ერის ტრაგედია მე-17 საუკუნეში. „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, ქუთაისი, 1911.
- წმინდანთა ცხოვრება 2003:** წმინდანთა ცხოვრება. წიგნი მეორე, თბილისი, 2003.
- ხეც:** კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-14442; Hd-6259 (1620 წ).

ჯავახიშვილი... 1943: ჯავახიშვილი ივ., ბერძენიშვილი ნ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX ს-ის დამდეგამდე. თბილისი, 1943 .

ჯავახიშვილი 1945: ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, თბილისი, 1945.

ჯავახიშვილი 1967: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. ტ. IV, თბილისი, 1967.

ჯამბურია 1964: ჯამბურია გ., გიორგი სააკაძე. თბილისი, 1964.

ჯაფარიძე 2009: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009.

Brosset 1856: Marie-Félicité Brosset, „Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu'au XIX e siècle”, traduite par Kharthlis chowreba. vol. 2, issue. I, Saint-Pétersbourg, 1856.

Brosset 1856: Marie Brosset, „Histoire de la Géorgie depuis l' antiquité jusqu'au XIX e siècle”, Partie 2. Histoire moderne. Livraison 1, Saint-Pétersbourg, 1856.

Brosset 1858: Marie-Félicité Brosset, „Histoire de la Géorgie”. Saint-Pétersbourg, 1858.

Brosset 1887: Laurent Brosset, „Bibliographie Analytique” des ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset Membre de L'Académie Impériale des sciences de Saint-Pétersbourg („Matériaux pour servir à l'histoire de la Géorgie depuis 1624...”), Saint-Pétersbourg, 1887.

Goltz 2015: Thomas Goltz, „Georgia Diary”, Routledge, London - New York, 2015.
Toumanoff 1990: Cyrille Toumanoff, „Les dynasties de la Caucasic chrétienne de l'Antiquité jusqu'au XIXe siècle” - Tables généalogiques et chronologiques, Rome, 1990.

Scott 2016: Erik R. Scott „Familiar Strangers”, Oxford University Press, 2016.